შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

თბილისი
2018

fppt.com

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრინციპებსა და მიდგომებს. დაწესებულება მიზნად ისახავს შექმნას ისეთი ტიპის საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე.

fppt.com

## მისია

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების უზრუნველყოფა სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების, პროფესიული ორიენტაციის კონსულტირების, კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვის, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების გზით.

## ხედვა

**2024** წლისთვის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება, შრომისბაზარის მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილება კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით.

## ღირებულებები

თანამედროვე ინფრასტრუქტურა;
საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
მდიდარი წიგნადი ფონდი;
დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მრავალპროფილიანი პრაქტიკის ობიექტები
პოტენციური დამსაქმებლებთან თანამშრომლობა;
მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისი - სხვადასხვა ახალგაზრდული, სამოქალაქო აქტივობების განხორციელება სტუდენტების ჩართულობით;
კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის სერვისის არსებობა;
შშმ და სსმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო (ინდივიდუალური ლიფტი).

fppt.com

პროფესიული განათლება არის სახელობო განათლება, რომელიც ადამიანს  სხვადასხვა სფეროში დამხმარე სამუშაოების შესასრულებლად ამზადებს. იგი ამზადებს კარგად განათლებულ და მოქნილ მუშახელს, რომელსაც  უფრო კარგად შეუძლია შრომითი ბაზრის არსებულ და მუდმივად ცვალებად საჭიროებებთან გამკლავება.






fppt.com

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:



ბაგა-ბაღის აღმზრელი პედაგოგი V საფეხური

ბუღალტრული აღრიცხვა V საფეხური

fppt.com

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

fppt.com

# ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი



**V საფეხური**

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასდა განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია დასაკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

fppt.com

# პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**
**მოცულობა:** 131კრედიტი
**ხანგრძლივობა:** 93 სასწავლო კვირა

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**
**მოცულობა:** 101კრედიტი
**ხანგრძლივობა:** 73 სასწავლო კვირა

პირებს რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია სავალდებულოა ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულის გავლა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

fppt.com

## პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

| სავალდებულო ზოგადი მოდულები | |
|---|---|
| დასახელება | კრედიტი |
| ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| მეწარმეობა 3 | 3 |
| ინგლისური ენა | 5 |
| ქართული ენა A2(იმ პირებისთვის რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია) | 15 |
| ქართული ენა B1(იმ პირებისთვის რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია) | 15 |

fppt.com

| სავალდებულო პროფესიული მოდულები | |
|---|---|
| დასახელება | კრედიტი |
| გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | 2 |
| საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | 12 |
| პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | 6 |
| ადრეული განვითარების თავისებურებები | 6 |
| ადრეული განათლების კურიკულუმი | 6 |
| ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა | 6 |
| სააღმზრდელო გარემო | 6 |
| სააღმზრდელო პროცესი | 6 |
| სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება | 6 |
| სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა | 5 |
| სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები | 5 |
| დაკვირვება და შეფასება | 5 |
| განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები | 6 |
| ოჯახი,თემი და სააღმზრდელო დაწესებულება | 4 |
| ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | 6 |
| პროფესიულიეთიკა | 3 |

fppt.com

**სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება სკოლამ-დელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

**კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.

fppt.com

# ბუღალტრული აღრიცხვა

**V საფეხური**

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი:**
მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზში, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას  გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

fppt.com

# პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**
**მოცულობა:** 129 კრედიტი
**ხანგრძლივობა:** 86 სასწავლო კვირა

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**
**მოცულობა:** 99 კრედიტი
**ხანგრძლივობა:** 66 სასწავლო კვირა

პირებს რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია სავალდებულოა ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულის გავლა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

fppt.com

## პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

| სავალდებულო ზოგადი მოდულები | |
|---|---|
| დასახელება | კრედიტი |
| ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| მეწარმეობა 3 | 3 |
| ინგლისური ენა | 5 |
| ქართული ენა A2(იმ პირებისთვის რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია) | 15 |
| ქართული ენა B1(იმ პირებისთვის რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია) | 15 |

fppt.com

| სავალდებულო პროფესიული მოდულები | |
|---|---|
| დასახელება | კრედიტი |
| გაცნობითიპრაქტიკა - ბუღალტრულიაღრიცხვა | 2 |
| პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება | 6 |
| ბუღალტრულიაღრიცხვისსაფუძვლები | 7 |
| ძირითადიპირველადისააღრიცხვოდოკუმენტებისწარმოება | 3 |
| სააღრიცხვომონაცემთაბაზისშექმნა | 9 |
| კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | 5 |
| საგადასახადო დეკლარირება | 4 |
| სახელმწიფობიუჯეტისმიმართვალდებულებები | 4 |
| ინვენტარიზაცია | 2 |
| ფინანსურიანგარიშგებისშედგენა | 8 |
| ბუღალტრულიაღრიცხვისწარმოებაეკონომიკურისაქმიანობისსახეობისმიხედვით | 12 |
| მმართველობითიაღრიცხვა | 8 |
| Ms Excel | 6 |
| ბიზნესინგლისური | 5 |
| აუდიტისსაფუძვლები | 2 |
| ეკონომიკურიანალიზი | 5 |

fppt.com

**სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- სამუშაო ფორმების (სააღრიცხვო დოკუმენტების) შევსება და არგუმენტირება;
- ბუღალტრული ოპერაციების წარმოება;
- დეკლარაციების შევსება და გაგაზავნა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- კონტროლის წარმოება სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- მმართველობითი აღრიცხვის წარმოება;
- ეკონომიკური ანალიზის შესრულება.

**კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

fppt.com

# რა არის მოდული?

მოდული ცალკე აღებული, დამოუკიდებელი სასწავლო ერთეულია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კონკრეტული, დასრულებული კომპეტენციის ან/და უნარის გამომუშავების ან/და ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.

# რა არის კრედიტი?

კრედიტი წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვის საზომ ერთეულს. კრედიტი პირობითი ერთეულია, რომელიც გამოხატავს იმ დროს, იმ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რომლებიც სტუდენტს ამა თუ იმ კურსის/მოდულის/პრო გრამის ასათვისებლად, შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად სჭირდება.



fppt.com

## პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური.

პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების შედეგის გაცნობა ხორციელდება დაწესებულების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე.



fppt.com

# სწავლების მეთოდები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, ლექცია დემონსტრირებით, სასწავლო ექსკურსია, პრაქტიკული სავარჯიშო, კეთება ინსტრუქტაჟით, დისკუსია, შემთხვევის განხილვა, ვიდეო მასალის ანალიზი, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, ველზე სწავლება, შემთხვევის შესწავლა, დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი, პრობლემების განხილვა-გადაჭრა და სხვა.



fppt.com

# მობილობა

პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც მობილობის დროისათვის წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ  სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში  დაწესებულება უზრუნველყოფს  პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას



fppt.com

# მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

fppt.com

# კომპიუტერული კლასები

fppt.com

# ბიბლიოთეკა

fppt.com

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულებაში არის ადაფტირებული გარემო, ხოლო
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად  კი პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

fppt.com

# სწავლის საფასური

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე (1 კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე). უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.

სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

ა)ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;

ბ)იძულებით გადაადგილებული პირები;

გ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარელებული მოქალაქეები;

დ)I და II ჯგუფის შშმ პირები;

ე)ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;

ვ)სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;

ზ)ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;

თ)პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.

.

fppt.com

დიდია დამსაქმებელთა როლის პროფესიული განათლების სფეროში, ამიტომ ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი პარტნიორი ორგანიზაცია ჩავრთოდ პროფესიული პროგრამის ადაპტირების/დანერგვის პროცესში, მეტ დამსაქმებლებთან გავაფორმოთ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელების მიზნით.



fppt.com

# ჩვენი პარტნიორები

112 საქართველო - გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი

ქ. თბილისის ააიპ #46 საბავშვო ბაგა ბაღი

UNIVERSAL CONSALTING

შპს უნივერსალ კონსალტინგი

Trust Us

შპს აენკა

PRO SERVICE
Web Design and Host Providing

შპს პროსერვისი

WEB GEORGIA

საქართველოს ბიზნეს პორტალი

fppt.com

შპს კავკასიის დომენების რეგისტრაცია

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

სს სილქნეტი

საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზები

შპს ბარსა არტი

სარეკლამო კომპანია

fppt.com

# მომავალი იწყება აქ

fppt.com

# საკონტაქტო ინფორმაცია


მოსამართი: ნ.ხოშარაულის 30ა
საფოსტო ინდექსი:0119
ტელეფონი:+995 32 2440014/34
ოფიციალური საიტი:http://avicennacollege.ge
ელ.ფოსტა:office@avicennacollege.ge





fppt.com